პროფ. დრ. ლევან იზორია

საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი გფრ-ში

ბრძოლა თავისუფლებისთვის

I. შესავალი

1. <u>არაფერია გამორიცხული</u>

უკრაინაში თავისუფლებისთვის ბრძოლამ დასავლური სამყარო დიდი გამოწვევების წინაშე დააყენა. ამ რეალობამ უფრო მეტად დამარწმუნა ჩემი წიგნის („თავისუფლება - პროცესი სამართლიანობისთვის“) მთავარი იდეის - თავისუფლების გლობალური დაცვის აუცილებლობაში. აღნიშნული წიგნი ქართულ ენაზე 2021 წლის ოქტომბერში გამოიცა, ხოლო გერმანულ ენაზე 2022 წლის იანვარში. მართალია, ის ძირითადად დემოკრატიულ და ავტორიტარულ სისტემებს შორის დაპირისპირებას ეხება, თუმცა მასზე მუშაობის დროს ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ ეს დაპირისპირება, წიგნის გერმანულ ენაზე გამოცემიდან სულ რაღაც ერთ თვეში, უკრაინაში რუსული აგრესიის სახით, ასეთ მასშტაბებს შეიძენდა. მნიშვნელოვანია კიდევ ერთხელ იმის გააზრება, რომ არაფერია გამორიცხული. თანამედროვე სამყაროშიც ძალის პოლიტიკის გამოყენებით ყველაფერია შესაძლებელი, მათ შორის, თავისუფლებისა და სიცოცხლის მასობრივი, თვითნებური აღკვეთა და განადგურება. ამ სინამდვილის აღქმა კიდევ უფრო აძლიერებს თავისუფლების რეალური დაცვის აუცილებლობას.

გასული საუკუნის 60-იან წლებში სოციალური ფსიქოლოგიის მკვლევარმა, სტენლი მილგრემმა ჩაატარა ექსპერიმენტი, რომლის მიზანს ავტორიტეტების მიმართ მორჩილების ფენომენის შესწავლა წარმოადგენდა. აღნიშნულ ექსპერიმენტს ფაშიზმის დროს განხორციელებული მასიური მკვლელობები უნდა აეხსნა. ექსპერიმენტის შედეგები გამაოგნებელი აღმოჩნდა თავად მონაწილეთათვის. მათი უმრავლესობა მზად იყო გარკვეულ გარემოებებში ექსპერიმენტის ხელმძღვანელის ბრძანებით მოეკლა ადამიანი. შედეგები არა მხოლოდ მორჩილების ფენომენის შესწავლის თვალსაზრისით, არამედ, იმ მცდარი წარმოდგენის საილუსტრაციოდაც გახდა მნიშვნელოვანი, რომლის თანახმადაც ადამიანები, თითქოსდა, დროთა განმავლობაში, იცვლებიან და უფრო იდეალურები ხდებიან. ყველა ადამიანი პოტენციურად ფლობს ძალმომრეობის ინსტინქტს.

ადამიანში ორი საწყისია მოცემული - ცუდი და კარგი. შესაბამისად, არსებობს მუდმივი

ბრძოლა ამ ორ საწყისს შორის. თავისუფლებაც წარმოუდგენელია ადამიანის გარეშე და ისიც ცუდსა და კარგს შორის არსებობს. თავისუფლება და თავისუფლების მთავარი საფრთხე არის ადამიანი. ამიტომ, მხოლოდ კერძო ადამიანის იმედად თავისუფლებას ვერ ექნება საზოგადოებაში საყოველთაო განხორციელების რეალური შესაძლებლობა. პასუხისმგებლობაზე დაფუძნებული კონტროლის სისტემის გარეშე არაფერია გამორიცხული. მეტიც, ტოტალიტარული თუ ავტორიტარული სისტემების პირობებში, თანამედროვე სამყაროში ომისა და მასობრივი განადგურების საფრთხეც კი რეალურია.

2. *<u>თავისუფლების გაგების მეთოდოლოგია</u>*

თავისუფლების, როგორც დასავლეთის ფუნდამენტური პრინციპის არსის სრულყოფილი გაგებისთვის, მისი დაცვისა და განხორციელების ოპტიმალური პირობების აღქმისთვის, კვლევის ინტერდისციპლინარული და პროცესუალური ასპექტებია მნიშვნელოვანი.

ინტერდისციპლინარული ასპექტი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ საყოველთაო თავისუფლების პრინციპის სრულყოფილი გაგება შეუძლებელია მხოლოდ ერთი მეცნიერების ფარგლებში. მაგალითად, იურიდიული მეცნიერებებისთვის მნიშვნელოვანია ძირითადი უფლებების სამართლებრივი კონსტრუქცია, მაგრამ ის არ მოიცავს ამ უფლებების განხორციელებისთვის აუცილებელი განათლებისა და აღზრდის ასპექტს. ადამიანი საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროშია ინტეგრირებული, შესაბამისად, მისი თავისუფლებაც არა ცალკეული საზოგადოებრივი ურთიერთობის სფეროში, არამედ ინტეგრირებულად საზოგადოებაში, როგორც მთელში უნდა გავიგოთ. ეს მთლიანობა ისეთ პოლიტიკურ სისტემაშია მოცემული, რომელიც თავისუფლების დაცვისა და განხორციელების პირობებს უზრუნველყოფს. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია თავისუფლების კულტურული, სამართლებრივი, ეკონომიკური და პოლიტიკური კვლევის ინტერდისციპლინარული ასპექტები, რათა რეალურ ცხოვრებაში რეალური თავისუფლება უკეთ იქნეს დანახული.

თავისუფლებისთვის ბრძოლის ისტორიული გააზრება კიდევ უფრო განამტკიცებს მისი დაცვისა და განხორციელების პასუხისმგებლობას აწმყოსა და მომავალში. ისტორიულ ასპექტთან ერთად, ინტერდისციპლინარული მიდგომის ფარგლებში, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს საერთაშორისო ურთიერთობების კონტექსტს. ამ თვალსაზრისით, დღეს დემოკრატიული და ავტორიტარული სისტემებს შორის დაპირისპირების ფონზე, მნიშვნელოვანია თავისუფლების გლობალური დაცვისა და მისი განხორციელების პირობების წარმოჩენა.

პროცესუალური ასპექტი დამატებით ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ მართალია, თავისუფლება, პირველ რიგში, ინდივიდს, მის უფლებებს ეხება, მაგრამ ამასთან, ეს ასპექტი პოლიტიკური სისტემის ფარგლებში, იმ მნიშვნელოვან პროცესებს და პირობებს ეხება, რომლებიც აუცილებელია თავისუფლების რეალური არსებობისთვის. მაგალითად, თავისუფლების ინსტიტუციურ პირობებთან ერთად, ის მოიცავს თავისუფლებისთვის საზოგადოებაში პოლიტიკური კულტურისა და განათლების მნიშვნელობასაც.

პროცესუალური თვალსაწიერით თავისუფლების აღქმა ფართოვდება და ისეთ პროცესებს, ურთიერთობებს უკავშირდება, რომელიც პასუხისმგებლობას და პატივისცემას ემყარება, როგორც თანამოქალაქის, ისე პოლიტიკური სისტემისა და ინსტიტუტების მიმართ. თავისუფლების პროცესუალური გაგების ფარგლებში, სუბიექტურ უფლებებთან ერთად, დემოკრატიულ პროცესებში ჩართული ყველა აქტორის ვალდებულებებისა და პასუხისმგებლობის მნიშვნელობაა განსაკუთრებულად ხაზგასასმელი. თავისუფლება პასუხისმგებლობაზეა დამყარებული.

ავტორიტარული სისტემის დახასიათებისას ინტერდისციპლინარული და პროცესუალური აღქმის გაფართოებული თვალსაწიერი ფორმალურ-სამართლებრივი ასპექტის მიღმა ეხება მთელი საზოგადოებრივი ცხოვრების სინამდვილეს, ანუ ის მოიცავს არაფორმალური რეგულირების სტრუქტურებსაც. ასე მაგალითად, ავტორიტარულ სისტემის სამართალშიც შეიძლება იყოს დეკლარირებული დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპები, მაგრამ ძალაუფლების კონსოლიდაციით, კორუფციითა და მანიპულაციით, მათ სინამდვილეში დაკარგული ჰქონდეთ თავიანთი დანიშნულება. მხოლოდ იურიდიული კვლევის ფარგლებში ამ რეალობის აღქმა შეუძლებელია, საჭიროა, კვლევის სხვა ასპექტებიც.

II. თავისუფლება - დასავლეთის ფუნდამენტური პრინციპი

1. *<u>თავისუფლება როგორც პროცესი</u>*

მთავარი ამოცანაა, წარმოჩნდეს ის პირობები, ანუ პროცესის მახასიათებლები, რომლებშიც საყოველთაო თავისუფლების პრინციპი ყველაზე უკეთ პოულობს თავის დანიშნულებას, როგორც თითოეული ადამიანისთვის, ისე საზოგადოებისთვის. აღნიშნული პირობებისა და პროცესების უზრუნველყოფა მხოლოდ შესაბამისი პოლიტიკური სისტემის ფარგლებშია შესაძლებელი.

თავისუფლების საყოველთაო პრინციპს არა აქვს ერთხელ და სამუდამოდ განსაზღვრული სტატიკური მოცულობა. შესაძლოა, კონკრეტულ ეტაპზე ადამიანის თავისუფლებები კონკრეტული უფლებებით და შესაბამისი დაცვის სფეროთი განისაზღვროს, მაგრამ არა სამუდამოდ დადგენილი ფარგლებითა და მოცულობით. თავისუფლება დინამიკურ, პროცესუალურ ხასიათში უნდა ვეძებოთ, რომელმაც თავად თავისუფლება უნდა უზრუნველყოს. თავისუფლების პროცესუალურ ასპექტს მხედველობაში აქვს სისტემა, რომლის ფარგლებში თავისუფლების რეალური განხორციელებისა და დაცვის პირობებია მოცემული.

შესაძლოა, ადამიანის თავისუფლებებმა კონსტიტუციაში კონკრეტული უფლებების სახით პოვოს დეკლარირება, როგორც ეს საბჭოთა კონსტიტუციებში აისახა, მაგრამ შესაბამისი პოლიტიკური სისტემის გარეშე მას არ ჰქონდეს განხორციელების უნარი. თავისუფლება რეალურად არსებობს მხოლოდ იქ, სადაც ყველასთვის თანაბარი უფლებრივი მდგომარეობაა უზრუნველყოფილი, შესაბამისი ინსტიტუციური გარანტიებით.

საზოგადოებრივი განვითარება ადამიანის შემოქმედებითი ენერგიის ერთ-ერთ მთავარ წყაროს, სრულყოფისკენ მუდმივ სწრაფვას ემყარება, ის დაუსრულებელი და უშრეტია, როგორც თავისუფალი, ღია პროცესი. სწორედ ამ პროცესის უზრუნველყოფა არის განვითარების გარანტი. სისტემისთვის მთავარი გამოწვევაა, რომ თავისუფლებით ყველასთვის თანაბარი განვითარების შესაძლებლობა იყოს უზრუნველყოფილი. თითოეულის მიერ თავისუფლების განხორციელება კი, ინდივიდუალური და განსხვავებულია, ისევე როგორც განსხვავებულია თავისუფლებაზე თითოეულის შეხედულება.

დემოკრატიულ პოლიტიკურ სისტემაში ყველასთვის თანაბარი თავისუფლების და შესაბამისი უფლებრივი მდგომარეობის უზრუნველყოფა არის საზოგადოებაში მშვიდობიანი თანაცხოვრების გარანტი. თავისუფალ საზოგადოებაში განვითარების ყოველ ეტაპზე თავისუფლების საყოველთაო უზრუნველყოფა ითხოვს ისეთ წესრიგს, რომელშიც თითოეული ადამიანის თავისუფლებას შორის თანაზომიერება და წონასწორობა იქნება დაცული. თავისუფალი საზოგადოების პოლიტიკური სისტემა არის თავისუფლების თანაზომიერებისა და წონასწორობის მუდმივი პროცესი.

ეს სისტემა არ არის აბსტრაქტული კონსტრუქცია. ის ბრძოლით, საზოგადოებრივი განვითარების კვალდაკვალ მიღებული ცოდნითა და გამოცდილებით ყალიბდებოდა და ვითარდება დღესაც. ის არ არის წინასწარ დადგენილი და განსაზღვრული. თავისუფლება, სწორედ ამ სისტემის ფარგლებში იძენს განვითარებისთვის მუდმივი, დაუსრულებელი პროცესის ხასიათს. ის არ არის სწორხაზოვანი, რომელიც

კონკრეტულ მიზანზე, კონკრეტულ საბოლოო იდეალზეა ორიენტირებული. ამასთან, ყოველთვის არსებობს თავისუფლების ბოროტად გამოყენების რისკი. ამიტომ თავისუფლებისთვის სისტემის ფარგლებში ძირითადი პირობებისა და პროცესების მუდმივ განახლებას, დაცვას და ამოქმედებას სასიცოცხლო მნიშვნელობა ენიჭება. ეს სისტემა, თავისთავად, ავტომატურად არ მუშაობს, ის მუდმივი გამოწვევაა თავისუფლებისთვის.

2. <u>სამართლიანობა არის საყოველთაო თავისუფლების მთავარი ორიენტირი</u>

ერთ-ერთი უმთავრესი მისწრაფება, რომელიც ადამიანის კარგ მხარეს წარმოადგენს, არის სამართლიანობისკენ სწრაფვა. როგორც საყოველთაო თავისუფლების განსაზღვრებაა თავად თავისუფლებისთვის სახიფათო, ისე სამართლიანობის დეფინიცია არის რისკების შემცველი. როგორც თავისუფლება უნდა იყოს ყველასთვის შესაძლებელი, ისე სამართლიანობაც უნდა იყოს საყოველთაოდ მისაღები. კონკრეტული შინაარსით სამართლიანობის განსაზღვრების მცდელობა, შეიძლება კონკრეტული დროის მოთხოვნას პასუხობდეს, მაგრამ მას ვერ ექნება აბსოლუტური ხასიათი. აბსოლუტურია მისი მუდმივი მოთხოვნის ფორმა, მუდმივი მისწრაფება. თითოეულის სამართლიანობისკენ სწრაფვა აძლიერებს მათივე თავისუფლების მუხტს. უსამართლობასთან ბრძოლის მუხტით მოვიდა თავისუფლება მსოფლიოს დიდ ნაწილში და ამავე მუხტით გავრცელდება ის მომავალში მსოფლიოს დარჩენილ ნაწილში.

კაცობრიობის მიერ უსამართლობასთან ბრძოლამ განსაკუთრებული სიმძაფრე შეიძინა ევროპის უახლეს ისტორიაში დესპოტიზმის, სოციალური უთანასწორობისა და ტოტალიტარული სისტემების წინააღმდეგ ბრძოლისას. სწორედ, ამ ბრძოლის შედეგად მოპოვებულმა იდეალებმა, ძირითადი სამართლებრივი პრინციპების სახით, ასახვა პოვეს ქვეყნების მთავარ სამართლებრივ დოკუმენტში - კონსტიტუციაში. ეს პრინციპები, უმთავრესად, ძირითადი უფლებების, დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს სახითაა დეკლარირებული. პოლიტიკური სისტემის ფარგლებში ისინი ერთობლიობაში უზრუნველყოფენ სამართლიანობისთვის თავისუფლების მუდმივ პროცესს.

ამ სისტემას არ აქვს პრეტენზია, რომ სამართლიანობა განხორციელდა, მაგრამ აქვს სამართლიანობასთან მიახლოების პრეტენზია. უსამართლობასთან ბრძოლაში, ისტორიული გამოცდილებით მიღებული ცოდნა გვისახავს ორიენტირებს, ზოგად ჩარჩო პირობებს მომავალშიც საზოგადოებრივი ურთიერთობის სამართლიანი პროცესისთვის. ისტორიულად და დღესაც, ამ პროცესის მიზანია, რომ ყოველგვარი განსხვავების გარეშე, რაც შეიძლება მეტი მოქალაქისთვის თანაბარი თავისუფლება

იყოს უზრუნველყოფილი.

3. *<u>მიუკერძოებელი ინსტიტუტები და მონაწილეთა შეგნება სამართლიანობისთვის მუდმივ პროცესში</u>*

პირველ რიგში, ხელისუფლების დანაწილების პრინციპი ქმნის მნიშვნელოვან ინსტიტუციურ წინაპირობას იმისთვის, რომ სამართლიანობისთვის მუდმივი პროცესი იყოს უზრუნველყოფილი. განსაკუთრებით, სასამართლო ხელისუფლების მიუკერძოებლობაა აღნიშნული პროცესის მყარი საფუძველი. მისი როლი თემიდაშია საუკეთესოდ სიმბოლიზებული. მასში განსახიერებულია პირველ რიგში ის, რომ დამოუკიდებელი მესამე სასწორზე წონის ორი სუბიექტის სამართლებრივ მდგომარეობას. ორივე მხარს უნდა ჰქონდეს არგუმენტის წარდგენის საშუალება. არგუმენტების აწონ-დაწონვის შემდეგ კი, შესაძლებელი უნდა იყოს მიღებული გადაწყვეტილების აღსრულება.

სამართლიანი პროცესი მხოლოდ დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს პოლიტიკურ სისტემაშია შესაძლებელი, სადაც ხელისუფლება დანაწილებულია და დამოუკიდებელი სასამართლო რეალურად არსებობს. ის არის აუცილებელი წინაპირობა იმისთვის, რომ თავისუფლება იყოს დაცული და განხორციელებული. თითოეულის წინაშე ვალდებულების აღება, მათ შორის, თავისუფლების დაცვის თვალსაზრისით და ამ ვალდებულების შესრულების კონტროლი, ხორციელდება მხოლოდ იქ, სადაც სამართლებრივი ვალდებულებები არსებობს და მათი აღსრულების ინსტიტუციური, სასამართლო მექანიზმებია უზრუნველყოფილი. თავისუფალ პოლიტიკურ სისტემაში ხელისუფლება სამართლით არის შებოჭილი.

სამართლებრივ შეზღუდვასთან ერთად თავისუფალი საზოგადოება თითოეული აქტორის თვითშეზღუდვის კულტურას ეფუძნება. თვითშეზღუდვა, თავისუფლების პასუხისმგებლობით გააზრება ნიშნავს სხვისი თავისუფლების პატივისცემას. მხოლოდ ამ რეალობაშია ყველასთვის თანასწორი თავისუფლება შესაძლებელი. რაც უფრო დიდია თითოეულის პასუხისმგებლობა, მით უფრო მაღალია საზოგადოებაში თავისუფლების ხარისხი.

სამართლიანობის პროცესისთვის მონაწილეთა შეგნება წარმომადგენლობითობის იდეაშია საუკეთესოდ გამოხატული. თანამედროვე დემოკრატიაში ხალხის წარმომადგენლობითობის იდეით არის კერძო და პარტიული ინტერესები დაბალანსებული. თითოეული პოლიტიკური აქტორის ე. წ. სახელმწიფოებრივი აზროვნების ხარისხი ამ ბალანსზე და წონასწორობაზეა დამოკიდებული.

ზეპარტიულობა და მხარეთა არგუმენტების თანაბრად გათვალისწინება არის ასევე

ჟურნალისტების საქმიანობის ქვაკუთხედი. მასმედიის ინსტიტუციური დამოუკიდებლობის ხარისხი განისაზღვრება იმით, თუ რამდენად უზრუნველყოფს ის განსხვავებული პოზიციების, არგუმენტების გაწონასწორებულ მიწოდებას ისე, რომ მოქალაქემ შეძლოს მოვლენების ობიექტური შეფასება. ხელისუფლების მეოთხე შტოც წარმომადგენლობითობის იდეით არის შეზღუდული.

წარმომადგენლობითობის იდეა აძლიერებს დემოკრატიულ პროცესებში მონაწილე თითოეული აქტორის, ხალხის წინაშე პასუხისმგებლობას. ამ პასუხისმგებლობაზეა დამოკიდებული პოლიტიკურ აქტორებს შორის კონსენსუსის მიღწევისა და კერძო ინტერესებისგან თვითდისტანცირების უნარი, დემოკრატიის გრძელვადიანი სიმტკიცე. დიდწილად, სწორედ პოლიტიკური ელიტის კულტურა, თითოეული მისი წარმომადგენლის მზაობა განსაზღვრავს იმას, რომ მან არა მხოლოდ საკუთარი პარტიული ინტერესები წარმოაჩინოს, არამედ, როგორც ხალხის წარმომადგენელმა, საერთო ღირებულებების დასაცავად, სხვებთან თანამშრომლობის მაღალი პასუხისმგებლობაც გამოავლინოს.

პოლიტიკურ ელიტასთან ერთად ჟურნალისტები, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები, ექსპერტები, თუ ყველა სხვა აქტიური სუბიექტი უნდა იდგენენ საჯარო ინტერესის დაცვის სადარაჯოზე. რაც უფრო ორგანიზებული და ფართოა ეს წრე, მით უფრო მაღალია პოლიტიკურ სისტემაში სამართლიანობასთან დაახლოების პროცესი. საზოგადოებრივ პროცესებში მათი აქტიური ჩართულობით იქმნება საჯარო სივრცე, რომელშიც საზოგადოებრივი აზრი, შესაბამისი ქცევის წესები ყალიბდება. ამ სივრცეში მყარდება პოლიტიკური კულტურა - ერთმანეთის წინაშე, ხალხის წინაშე პასუხისმგებლობა.

პასუხისმგებლობა მოქალაქეობრივ შეგნებას უკავშირდება. საზოგადოებრივ ურთიერთობაში თავისუფლება არა მხოლოდ კერძო სფეროში, არამედ საჯარო სფეროში, ურთიერთაღიარებითა და პასუხისმგებლობით ხორციელდება, ასეთ პირობებში არსებობს ჯანსაღი კონკურენციაც. შინაგან სამყაროშიც, სხვის პატივისცემით უჩნდება ადამიანს შინაგანი წონასწორობა და ბალანსი. სწორედ მოქალაქეობრივი შეგნება ქმნის ნებისმიერ სივრცეში კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარების საუკეთესო წინაპირობას.

მხოლოდ დაპირისპირებით და დიფერენციაციით დემოკრატიაშიც მივიღებთ საზოგადოების პოლარიზებას, მის მტრულ ბანაკებად დაყოფას. საზოგადოების პოლარიზებასა და დემოკრატიული სახელმწიფოს პარალიზებას შორის ზღვარი მინიმალურია. სუბიექტურ უფლებებთან ერთად, თითოეულში სოციალური სოლიდარობის განცდა აუცილებელი მინიმუმია საზოგადოებრივი ინტეგრაციისთვის.

სახელმწიფო და არასამთვრობო ინსტიტუტების სამართლებრივ დამოუკიდებლობასთან ერთად, აუცილებელია ყველა აქტორის, მათ შორის, ამ ინსტიტუტების წარმომადგენელთა, მოქალაქეობრივი ეთოსისა და პასუხისგებლობის არსებობა. დემოკრატია ვერ იქნება მხოლოდ სამართლით გარანტირებული, ის დემოკრატიული ცხოვრების წესით, მოქალაქეობრივი შეგნებით უნდა იყოს ყოველდღიურად განახლებული.

პირველ რიგში, სახელმწიფო როგორც სისტემის ღერძი, არის საზოგადოებაში ინტერესთა სამართლიანი წონასწორობის გარანტი. სახელმწიფო ხელისუფლებაში პოლიტიკური გუნდის არჩევა სწორედ ამ ვალდებულებისა და პასუხისმგებლობის დაკისრებაა, თუმცა, ანგარიშვალდებულებისა და კონტროლის სისტემის ფარგლებში. ხელისუფლება არ არის რომელიმე ელიტის პრივილეგია, ის არის ურთიერთვალდებულებისა და პასუხისმგებლობის სისტემის ნაწილი. სწორედ თითოეულის პასუხისმგებლობით იზრდება სისტემაში სამართლიანობასთან დაახლოების პროცესი. ამიტომ, სუბიექტური უფლებების დაცვასთან ერთად, სისტემის მიმართ ვალდებულებებისა და პასუხისმგებლობის გააზრება არის დემოკრატიული შეგნების ყოველდღიური გამოწვევა.

4. <u>ადამიანის აღიარება</u>

მოქალქეობრივი შეგნების ჩამოყალიბება ძირითადად აღზრდისა და განათლების შედეგია. აღზრდის მთავარი ამოცანა, ზოგადად, ადამიანში დადებითი მხარეების განვითარებაა. ღირსებისა და თავისუფლების დასაცავად, მოქალქეობრივი აღზრდისა და განათლების მთავარი ამოცანა კი, პირველ რიგში, საკუთარი უფლებების დაცვასა და სხვისი უფლებების პატივისცემაში გამოიხატება. დემოკრატიულ და სამართლებრივ სახელმწიფოში ადამიანის აღიარება არის სამართლიანობის საზომი, არა მხოლოდ სამართლებრივ ურთიერთობებში, არამედ საზოგადოებრივ ურთიერთობასა და ინსტიტუტში. თავისუფლების განხორციელების წინაპირობას ადამიანის აღიარება წარმოადგენს.

ადამიანის აღიარების კულტურა უწინარესად ოჯახში ყალიბდება. ბავშვისა და მოზარდის აღიარება მასში ავითარებს აზრის გამოხატვის, ინიციატივის გამოჩენის, განსხვავებული არგუმენტის მოსმენის, მსჯელობის, კომპრომისის მიღწევის უნარებს. ეს აღიარება გრძელდება დემოკრატიულად ორგანიზებულ სკოლაში, სადაც არა მხოლოდ ცოდნის მიღებაზე, არამედ პიროვნების ჩამოყალიბებაზეც არიან ორიენტირებულები. სკოლაში ცალკეულ საგნებთან ერთად ის სწავლობს თავისუფლებას პრაქტიკულ ცხოვრებაში, საკუთარი და სხვისი თავისუფლების მშვიდობიანი თანაცხოვრების კულტურას.

ამ კულტურას ამყარებს საზოგადოებაში სამოქალაქო განათლების უწყვეტი პროცესი. იმის გათვითცნობიერების გარეშე, თუ რა მნიშვნელობა აქვს სიტყვის თავისუფლებას, არჩევნებს, თითოეულის აქტიურ თანამონაწილეობას პოლიტიკურ ცხოვრებაში, წარმოუდგენელია დემოკრატიის სიცოცხლისუნარიანობა. ინსტიტუტები და ღირებულებები, რომელიც ადამიანის აღიარების ფენომენს ემყარება, თავისუფალი საზოგადოების ყოველი ახალი თაობის მიერ უნდა იყოს ახლიდან გააზრებული და განახლებული. ეს იმ საყრდენის გამაგრებაა, რომელზეც თავისუფალი ადამიანი, სამოქალაქო საზოგადოება დგას. ეს კულტურა ქმნის საყოველთაო თავისუფლების განხორციელების წინაპირობას, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი სამართლებრივი და პოლიტიკური კულტურაა.

5. <u>არაფერია აბსოლუტურად იდეალური</u>

ადამიანის აღიარების კულტურა, მისი ძირითადი უფლებების სამართლებრივი უზრუნველყოფა, თანაბარ შესაძლებლობებს აძლევს თითოეულს სამართლიანობის მუდმივ პროცესში. განსაკუთრებით სამართლებრივ და დემოკრატიულ პოლიტიკურ პროცესებში, როგორც ცალკეული ინდივიდებისთვის, ისე საზოგადოებრივი გაერთიანებებისთვის, მათ შორის პოლიტიკური პარტიებისთვის, სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს უფრო დამაჯერებელი არგუმენტის წარდგენას. არგუმენტია სამართლიანობისთვის ბრძოლის მთავარი იარაღი.

გრძელვადიან პერსპექტივაში სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას ვერ ექნება აბსოლუტური ხასიათი. იგი კონკრეტულ ეტაპზე არის სამართლიან გადაწყვეტილებასთან მიახლოების ოპტიმალური საშუალება. ის ფაქტი, რომ ახალი არგუმენტებითა და გარემოებებით სასამართლო გადაწყვეტილების ზედა ინსტანციაში გასაჩივრება შეიძლება, ხაზს უსვამს იმას, რომ არსებობს ღია, სამართლიანობასთან დაახლოების მუდმივი პროცესი. ბოლო ინსტანციის გადაწყვეტილებაც შეიძლება დროთა განმავლობაში შეიცვალოს უფრო დამაჯერებელი არგუმენტით ახალი სასამართლო პრაქტიკის პირობებში. სამართალში სამართლიანობის საზრისთან დაახლოების პროცესი უწყვეტია უკეთესი, უფრო დამაჯერებელი არგუმენტის წარდგენით.

დემოკრატიული პოლიტიკური პროცესების ფარგლებში უზრუნველყოფილია მხარეთა არგუმენტებით ჭიდილი. პარლამეტში გადაწყვეტილებას უმრავლესობა იღებს. ეს გადაწყვეტილებაც არ არის აბსოლუტური ხასიათის, მაგრამ, სამართლიანი პროცედურების პირობებში, ის არის სამართლიანობასთან დაახლოების ოპტიმალური საშუალება. მიღებული გადაწყვეტილება ცვლილებებისთვის მომავალში ყოველთვის ღიაა. უფრო დამაჯერებელი არგუმენტებით თუ პროგრამით, უმრავლესობის შეცვლისა

და გადაწყვეტილების გადახედვის პროცესი უწყვეტ დინამიკაშია.

საყოველთაო თავისუფლების პრინციპი უზრუნველყოფს უკეთესი არგუმენტის ძიების პროცესს, როგორც სამართლებრივ, ისე პოლიტიკურ სივრცეში, სადაც ყველას (ცალკეულ ინდივიდს და საზოგადოებრივ გაერთიანებას), არგუმენტის გამოხატვის თანაბარი უფლება აქვს. ეს არის უკეთესი არგუმენტის ძიების პროცესი და არა საუკეთესო არგუმენტით წინასწარ განსაზღვრული შედეგი. სამართლის ნორმის ახალი განმარტება, მისი შეფარდება, თუ კანონში შეტანილი ცვლილება, სწორედ უკეთესი არგუმენტით ითხოვს კონკრეტულ ეტაპზე სავალდებულო მოთხოვნად გარდასახვას. დემოკრატიაში უკეთესი არგუმენტით აქვს სავალდებულო გადაწყვეტილებას დასაბუთების ძალა და საზოგადოებაში ფართო მორალური აღიარების საფუძველი, თუმცა, მომავალშიც, ახალი გარემოებების შესაბამისად, სხვა, უკეთესი არგუმენტის წარდგენის პერსპექტივით.

თავისუფალი საზოგადოების პოლიტიკურ სისტემას არ აქვს იმის პრეტენზია, რომ სამართლიანობა საბოლოოდ განხორციელდა. ის არის სამართლიანობასთან დაახლოების მუდმივი პროცესი. აღნიშნული სისტემა, როგორც ყველაფერი ამქვეყნიური ვერ იქნება იდეალური. ისიც იცნობს თავისუფლების ბოროტად გამოყენების უამრავ ფაქტს, კრიმინალს. იგი არის სისტემა, რომელიც იდეალურთან მიახლოებას ყველაზე ოპტიმალური პირობებით უზრუნველყოფს, სადაც ყველას ღირსება თანაბრად იქნება დაცული. ამ სისტემის დინამიკურობა ვლინდება იდეალურისკენ მუდმივ სწრაფვაში, თითოეული ინდივიდისთვის სამართლიანი პირობების მუდმივ გაუმჯობესებაში.

6. <u>პასუხისმგებლობისა და წონასწორობის სისტემა</u>

სამართლიანობა წონასწორობის პროცესშია. ინტერესთა კონფლიქტის, უფლებათა შეზღუდვის შემთხვევაში, დაპირისპირებულ სიკეთეთა თანაზომიერება არის დაცული. ეს არის სისტემა, რომელშიც ყველა ტიპის ძალაუფლება, იქნება ეს სახელისუფლებლო, თუ საზოგადოებრივი, სამართლითა და პასუხისმგებლობით არის გაწონასწორებული. ეს პასუხისმგებლობა განსაკუთრებით მათ ეკისრებათ, ვინც ხალხის სახელით მოქმედებს. სახელმწიფო, როგორც სისტემის პოლიტიკური ცენტრი თავად არის წონასწორობის ღერძი. ამ წონასწორობაზე გადის თავისუფლების საყოველთაო პრინციპი, სამართლიანობისთვის მუდმივი პროცესი.

სისტემის მთავარი ამოცანაა, რომ საზოგადოებრივი განვითარების ყოველ ეტაპზე, თანაზომიერების პრინციპის თანახმად, არგუმენტების აწონ-დაწონვის საფუძველზე, ახალ გამოწვევებზე საპასუხოდ, ისეთი გადაწყვეტილებები იქნეს მიღებული,

რომლითაც საყოველთაო თავისუფლება და წონასწორობა იქნება ოპტიმალურად უზრუნველყოფილი. თავისუფლება გონივრულ წონასწორობასთან არის დაკავშირებული.

აღნიშნულ სისტემაში წინა პლანზე დგას არა კერძო პირის მორალის შესახებ წარმოდგენები, არამედ სხვებთან მშვიდობიანი და თავისუფალი თანაცხოვრების ფუნდამენტური, საყოველთაო თავისუფლების ინტერესები. ამ სისტემაში ყველა სუბიექტს თავისი წილი პასუხისმგებლობა აკისრია. უფლებას აზრი ეკარგება, თუ მისთვის უფლების სუბიექტებმა არ იბრძოლეს, იქნება ეს სამართლებრივ, თუ პოლიტიკურ სივრცეში. ამ ბრძოლას, თავის მხრივ, იქ აქვს შანსი, სადაც მიუკერძოებელი ინსტიტუტები არსებობს, რომელთა კომპეტენციები დანაწილებულია. თავად ამ ინსტიტუტების დამოუკიდებლობის ხარისხი ამავე ინსტიტუტების წარმომადგენელთა პასუხისმგებლობაზეა დამოკიდებული. ამ პასუხისმგებლობას სჭირდება როგორც სახელმწიფო, ისე საზოგადოებრივი კონტროლი. კონტროლთან ერთად, ეს სისტემა აქტორებს შორის ნდობას, თანამშრომლობას და პასუხისმგებლობის განაწილებას ემყარება. ამ სისტემურ ძალისხმევაშია თავისუფლება უზრუნველყოფილი.

III. თავისუფლების თანამედროვე გამოწვევები

1. *უპასუხისმგებლობის სისტემა*

ავტორიტარული სისტემის მთავარი მიზანი არის ძალაუფლების შენარჩუნება. ეს მიზანი არ არის დეკლარირებული, მაგრამ ის არის პოლიტიკური სისტემის ყველა ძირითად სფეროში ინტეგრირებული. დეკლარირებული შეიძლება იყოს ძირითადი უფლებები და სხვა სამართლებრივი პრინციპებიც კი, მაგრამ მათ არ აქვთ განხორციელების უნარი. აქ არ არსებობს სამართლის უზენაესობა და მიუკერძოებელი ინსტიტუტები, არამედ სამართალზე მაღლა მდგომი ხელისუფალთა კერძო ინტერესები.

ავტორიტარული სისტემის ქვეყნებში ძალაუფლების შენარჩუნებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ე. წ. ძალოვანი უწყებებისა და ფინანსური რესურსების კონტროლს. მათი მეშვეობით ხორციელდება ძალაუფლების კონსოლიდაცია. სისტემა დიქტატორისა და მისი მმართველი ჯგუფის ეგოცენტრისტული ინტერესებისა და საკუთარი პრივილეგიების ოპტიმალური უზრუნველყოფით არის განსაზღვრული.

ძალაუფლების შენარჩუნებისთვის, ძალის პოლიტიკასთან ერთად, თანამედროვე პირობებში, საზოგადოების მანიპულაცია და სამართლიანობის ინსცენირება იძენს განსაკუთრებულ მნიშვნელობას. მართალია, საარჩევნო უფლება დეკლარირებულია, მაგრამ ამასთან გარანტირებულია არჩევნების წინასწარი შედეგი, გაყალბების, მოსყიდვისა და მანიპულაციის სხვა ფორმებით. სიტყვის თავისუფლება აღიარებულია, მაგრამ ხელისუფლების მიერ კონტროლირებადი ძირითადი მასმედიის საშუალებების პოლიტიკის ფარგლებში. არც კორუფციასთან ბრძოლაა გამორიცხული, მაგრამ არა საკუთარი გარემოცვისა და გავლენის სფეროების ფარგლებში. ამასთან, შიდა პოლიტიკურ სივრცეში მოწინააღმდეგის დემონიზება, ხოლო საგარეო ასპარეზზე მტრის ხატის წარმოსახვა არის სამართლიანობისთვის ბრძოლის ინსცენირების მთავარი ატრიბუტები.

კომუნისტები იდეოლოგიით, თანამედროვე დიქტატორები მანიპულაციითა და ინსცენირებით ქმნიან საზოგადოებასთან ერთგვარი კომუნიკაციის ფორმებს, რათა საკუთარი ძალაუფლების არსებობა გაამართლონ. იძულების გამოყენებაც, ამ გამართლების ნაწილია. ძალაუფლების შენარჩუნების სისტემა პირდაპირ კავშირშია თავისუფლების უარყოფასთან, რაც თავისთავად, ადამიანის უარყოფის ტოლფასია. ადამიანი სისტემისთვის ობიექტია, რომელიც ძალაუფლების შენარჩუნების მიზნით, საჭიროების მიხედვით, ან გარიყულია ან კიდევ გამოყენებულია, მოსყიდულია, შეშინებულია, მანიპულირებულია, მათი ინტერესების განხორციელებისთვის, ვინც ფლობს ძალაუფლებას. ადამიანი ღირებულია, როგორც აღნიშნული ინტერესების რეალიზების საშუალება.

სისტემა დახშულია განვითარებისთვის, სამართლიანობისთვის. განსხვავებული არგუმენტი არის პარალიზებული. მასში უპირატესობა აქვს ძალის „არგუმენტს“, რომელიც ყოველგვარ კონტროლს არის მოკლებული. მხოლოდ, სოციალური უფლებების უზრუნველყოფით, ეს სისტემა მოსახლეობას პოლიტიკურ ცენტრზე კიდევ უფრო დამოკიდებულს ხდის. ადამიანი სისტემისთვის არის მოწყალების გაღების ობიექტი. სოციალური პირობების შექმნა, უწინარესად, მასის დაშოშმინებასთან და მისი მართვის ინტერესებთან არის დაკავშირებული.

ავტორიტარულ სისტემასაც აინტერესებს ტექნოლოგიური განვითარების მიღწევების დანერგვა, რათა გლობალურ კონკურენციაში არ გამოჩნდეს მოსახლეობის თვალში დამარცხებული, მაგრამ მას არ აინტერესებს თითოეული ადამიანის კეთილდღეობა, რომელიც საკუთარი შესაძლებლობების სამართლიან რეალიზებასთან არის დაკავშირებული. მართალია, განვითარება მნიშვნელოვანწილად მოიცავს ეკონომიკურ კეთილდღეობას, მაგრამ ადამიანის ღირსება არის განუყოფელი და არ შეიძლება მისი განასაზღვრა დიფერენცირებულად, ეკონომიკური, პოლიტიკური, კულტურული, თუ

სხვა საზოგადოებრივი ცხოვრების ცალკეული სფეროს კრიტერიუმებით. ადამიანი საზოგადოების წევრია და მისი თავისუფლებისა და განვითარების საზომი საზოგადოებაში, როგორც მთელში, მისი ღირსეული ცხოვრება უნდა იყოს. თავისუფალ სამყაროში საზოგადოების ყველა ძირითადი სფერო ინტეგრირებულია ერთი მიზნის, თითოეული ადამიანის ღირსეული არსებობის გარშემო. მარტო მატერიალური სიკეთით არ განისაზღვრება ღირსება, ის არსებობს მხოლოდ ისეთ პოლიტიკურ სისტემაში, სადაც თითოეულ მოქალაქეს აქვს განვითარებისთვის თანაბარი უფლებრივი შესაძლებლობები.

2. <u>ავტორიტარიზმის გლობალური საფრთხე</u>

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, რუსეთის ავტორიტარული სისტემის მთავარ გამოწვევას წარმოადგენდა ძალაუფლების კონსოლიდაცია, როგორც შიდა პოლიტიკურ, ისე, საგარეო პოლიტიკურ ასპექტში. საგარეო პოლიტიკურ ასპექტში, დასავლეთთან მიმართებაში, აღნიშნული პოლიტიკის მნიშვნელოვანი ელემენტები იყო მუქარა, ენერგეტიკის პოლიტიკური მიზნებისთვის ინსტრუმენტალიზება, სტრატეგიული კორუფცია, დეზინფორმაცია, კიბერთავდასხმები, ერთობის დასუსტება, განსაკუთრებით, დასავლეთის ინსტიტუციური საფუძვლების, ნატოსა და ევროკავშირის ერთობაში ბზარის გაჩენა და ამ მიზნით, აღნიშნული ორგანიზაციების შიგნით, ცალკეულ ქვეყნებს შორის უთანხმოების გაღვივება.

ამ პოლიტიკის სტრატეგიულ ამოცანას წარმოადგენდა და წარმოადგენს, განსაკუთრებით, პოსტსაბჭოთა რეგიონებზე გავლენის დაბრუნება. რუსეთი ეტაპობრივად ჩამოყალიბდა რევიზიონისტულ ძალად. მისი პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი გახდა მეზობელი ქვეყნების სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის პირდაპირი სამხედრო გზით ხელყოფა. 2008 წელს საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული აგრესიისა და მისი ტერიტორიების 20 პროცენტის ოკუპაციით, რუსეთმა დააფიქსირა საკუთარი წითელი ხაზები, ნატოსა და ევროკავშირის გაფართოების პრევენციის მიზნით. ამ პრეცენდენტმა და დასავლეთის რბილმა რეაქციამ, უკვე 2014 წელს, რუსეთს უბიძგა უკრაინის წინააღმდეგ აგრესიის განხორციელებისკენ, ყირიმის ანექსიით და დონბასის ნაწილის ოკუპაციით.

2022 წლის 24 თებერვალს უკრაინაში რუსეთის ფართომასშტაბიანი ინტერვენციის შედეგად დასავლეთისთვის უფრო ნათელი გახდა ავტორიტარიზმის გლობალური საფრთხე და მასთან ბრძოლის აუცილებლობა. ცხადი გახდა, რომ აღნიშნული საფრთხის შესაკავებლად აუცილებელია დასავლეთის ერთობა, რუსეთის ეკონომიკურად დასუსტება და რაც მთავარია, უკრაინის ფინანსურად და იარაღით მხარდაჭერა. როდესაც მოწინააღმდეგე შეიარაღებულია, და თანაც უპასუხისმგებლოა,

გულუბრყვილობაა იმაზე ფიქრი, რომ მხოლოდ მორალით, ვალდებულებებზე აპელირებით შეიძლება მისი შეჩერება. უპასუხისმგებლობის სისტემაში არაფერია გამორიცხული. უპასუხისმგებლოს შეკავება და განიარაღება მხოლოდ ძლიერის პოზიციიდან თუა შესაძლებელი.

თავდაცვა არის თავისუფლების იმანენტური. სამართლებრივ სახელმწიფოში თავისუფლების იურიდიული დაცვის შესაძლებლობაც, პირველ რიგში, თავდაცვის ფუნქციაში არის გამოხატული. პასუხისმგებლობის სისტემა, უწინარესად, ნიშნავს ადამიანის, მისი თავისუფლების დაცვის სისტემას. გლობალური გამოწვევების პირობებში, თავისუფალი სამყაროს პოლიტიკური სისტემების სიცოცხლისუნარიანობაც, უპირველესად, მის მედეგობაზე, თავდაცვისუნარიანობაზეა დამოკიდებული.

თანამედროვე გლობალურ სამყაროში, როგორც თავისუფლება, ისე მისი დაცვა და უსაფრთხოებაც კომპლექსური ფენომენია. ეს დაცვა, სამხედრო კომპონენტთან ერთად, თანაბრად მოიცავს საგანმანათლებლო, ეკონომიკურ, საფინანსო, საინვესტიციო, დიპლომატიურ ელემენტებსაც. გლობალური უსაფრთხოების გარემოში, სისტემებს შორის სტრატეგიული მეტოქეობა, დასავლეთისგან ყველა ამ შესაძლებლობების განვითარებას და ინტეგრაციას მოითხოვს.

ზოგადად, ერთობა უფრო მარტივად მიიღწევა საერთო საფრთხის აშკარა არსებობის პირობებში, მაგრამ უკრაინაში რუსეთის აგრესიამ ცხადყო, რომ მომავალში უფრო დიდი გამოწვევა იქნება დასავლეთის ერთობის გამყარება პასუხისმგებლობით, წინასწარ საფრთხის თავიდან აცილებით. დღის წესრიგში დგას თანამშრომლობის კოორდინაციის, პასუხისმგებლობის გაძლიერების, მისი სამართლიანი განაწილებისა და პრინციპული პოლიტიკის განხორციელების აუცილებლობა. თავისუფალი საზოგადოების სამყაროს, პირველ რიგში, თავისუფლების შეგნება, საერთო ღირებულებები აერთიანებს და არა თვითგადარჩენის მხოლოდ შიშველი ინსტინქტი. მისი ერთობის რღვევა პასუხისმგებლობის კრიზისით იწყება.

ავტორიტარიზმის გლობალური საფრთხის პირობებში, სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს იმას, რომ თავისუფლების სივრცე, ანუ სამყარო ადამიანისთვის, სამართლიანობისა და განვითარებისთვის იმ ქვეყნებისთვისაც იყოს პრინციპულად ღია, რომელთა ურყევი ნებაა გახდნენ ამ სივრცის ინტეგრირებული ნაწილი. გლობალურ, კონკურენტულ გარემოში ეს მხოლოდ ორმხრივი ძალისხმევით არსი შესაძლებელი. დღეს თავისუფლების გაძლიერება მსოფლიოში ყველაზე უკეთ საკუთარი პასუხისმგებლობისა და სხვის თავისუფლების მიმართ სოლიდარობის გააზრებით არის შესაძლებელი. უკრაინასთან ერთად, ეს განსაკუთრებით ეხება

საქართველოს და მოლდოვას, რომლებიც რუსული აგრესიის მიუხედავად, ურყევად დგანან თავისუფალ სამყაროში ინტეგრაციის გზაზე.

3. <u>გამოწვევები თავისუფლებისთვის გლობალურ ბრძოლაში</u>

ავტორიტარული სისტემების გლობალური საფრთხე კიდევ უფრო ზრდის თავისუფალი სამყაროს ვალდებულებას, მტკიცედ დაიცვას და განაახლოს ადამიანის ღირსებისთვის, სამართლიანობისთვის აუცილებელი ეროვნული და საერთაშორისო სისტემები. ნატო და ევროკავშირი წარმოადგენენ თავისუფალი სამყაროს მნიშვნელოვან ინსტიტუციურ საფუძვლებს, რომელთა გაძლიერება გადამწყვეტია დასავლეთის მომავალი ერთობისთვის. აღნიშნული ორგანიზაციები ადამიანის, ერთა თავისუფლების დასაცავად და მათი შესაძლებლობების მშვიდობიანი განვითარებისთვის შეიქმნა. ამიტომ, თავად ამ ორგანიზაციების ფარგლებში საერთო ღირებულებების დაცვა იქნება მომავალში პრინციპული საკითხი, რომ ამ ორმა მნიშვნელოვანმა ინსტიტუციურმა საყრდენმა ეროზია არ განიცადოს.

რუსული ავტორიტარიზმის გლობალურ საფრთხეზე ნატოსა და ევროკავშირის პრინციპული პასუხი არის თავისუფლებისთვის სტრატეგიული ძალისხმევის გაძლიერება. ერთი მხრივ, უკრაინისთვის ნატოს წევრი ქვეყნების მხრიდან იარაღის მიწოდებას და ფინანსურ მხარდაჭერას, ხოლო მეორე მხრივ, ნატოს ღია კარის პოლიტიკის განხორციელებას და ფინეთის და შვედეთის გაწევრიანებით, მის გაფართოებას, სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს თავისუფალი სამყაროსთვის. აღნიშნული ნაბიჯების შედეგია, როგორც უკრაინაში რუსული აგრესიის უკან დახევა, ისე, ნატოში ახალი წევრების მიღებით, თავისუფლებისთვის უსაფრთხოების სივრცის გაფართოება. გრძელვადიან პერსპექტივაში თავისუფლებისთვის ნატოს ძალისხმევის გაძლიერება, უკრაინისთვის და საქართველოსთვის ღია კარის პოლიტიკის შენარჩუნება და მისი განხორციელება, მნიშვნელოვანია მსოფლიოში თავისუფალი სამყაროს დამაჯერებლობისთვის. სწორედ, ჩრდილო-ატლანტიკურმა ალიანსმა უზრუნველყო თავისუფალ სამყაროში უპრეცედენტო მშვიდობა, რამაც დიდი ეკონომიკური განვითარების წინაპირობა შექმნა.

ევროკავშირის მიერ ინიცირებული აღმოსავლეთ პარტნიორობის პლატფორმის საპასუხოდ, 2009 წელს რუსეთის ფედერაციამ ბელორუსთან და ყაზახეთთან ერთად შექმნა საბაჟო კავშირი, რომელიც 2014 წელს ევრაზიის ეკონომიკურ კავშირად ტრანსფორმირდა. ნიშანდობლივია, რომ ეს უკანასკნელი ყირიმის ანექსიის შემდეგ შეიქმნა. როგორც ევრაზიის ეკონომიკური კავშირის, ისე კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციისა და ბოლოს ე. წ. სამოკავშირეო სახელმწოფოს შექმნით რუსეთი უპირისპირდება დასავლეთს, მათ შორის ევროპული ეკონომიკური

ინტეგრაციის პროექტებს. რუსეთის მიზანია, განსაკუთრებით, პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ავტორიტარული სისტემების გაძლიერება და ამ გზით მოკავშირე ქვეყნებში სასურველი პოლიტიკური ელიტის ხელისუფლებაში შენარჩუნება, მთავარი სტრატეგიული მიზნის - რუსეთის რევიზიონისტული პოლიტიკის განსახორციელებლად.

მოცემული რეალობაში, გეოსტრატეგიული ევროკავშირისთვის დადგა იმის დრო, რომ თავისუფლების გლობალურ გამოწვევებს გლობალური პასუხი გასცეს. დასავლეთ ბალკანეთის ქვეყნებთან ერთად, მნიშვნელოვანია, ევროკავშირში ინტეგრაციის გზაზე, სინქრონიზებულად გადაიდგას კონკრეტული ნაბიჯები აღმოსავლეთ პარტნიორობის ასოცირებული ქვეყნების მიმართ, რომლებიც, რუსეთისგან სამხედრო აგრესიის მიუხედავად, თავიანთი ევროპული მისწრაფებების ერთგულნი დარჩნენ. მეტიც, ცალკეულ პარამეტრებში, საერთაშორისო კვლევითი ორგანიზაციის შეფასებით (CEPS ის 2018 და 2021 წლის კვლევები), საქართველო წინ უსწრებს დასავლეთ ბალკანეთის ქვეყნებსაც კი. დასავლეთ ბალკანეთის ქვეყნებთან ინტეგრაციის შემდგომ ეტაპზე გადასვლა, ხოლო ასოცირებულ პარტნიორებისთვის გაწევრიანების კანდიდატის სტატუსის მინიჭება, არის დროის მოთხოვნა, რომელიც თავისუფლების გლობალურ განხორციელებას უკავშირდება. ის საუკეთესო პირობას შექმნის სტრატეგიულ მოწინააღმდეგესთან ეფექტური მეტოქეობისთვის, მედეგობისთვის და ინსტიტუციურ ჩარჩოში მოქცევით, კანდიდატი ქვეყნების რეფორმების დაჩქარებისთვის. თავად, ევროკავშირის ინსტიტუციური რეფორმირებაც უნდა იყოს ამ ახალი გამოწვევების ადეკვატური.

არა მხოლოდ რეგიონალურ ასპექტში, არამედ გლობალურ კონტექსტშიც, ავტორიტარული სისტემების მიზანი იქნება ერთმანეთთან პარტნიორობისა და ალიანსების გაძლიერება. მით უფრო მკაცრი ეკონომიკური სანქციებისა და იზოლაციის პირობებში, რუსეთისთვის უფრო დიდ მნიშვნელობას შეიძენს ჩინეთთან სტრატეგიული ურთიერთობა. ავტორიტარული სისტემების გლობალური საფრთხე, დღის წესრიგში აყენებს თავისუფლების არა მხოლოდ დაცვის, არამედ მისთვის გლობალური სივრცის გახსნისა და განვითარების აუცილებლობას. ის ითხოვს პოლიტიკის, უსაფრთხოების, ეკონომიკის სფეროში გლობალური პლატფორმების შექმნას და ავტორიტარული სისტემებისგან მეტ დამოუკიდებლობას.

IV. დასკვნა

თავისუფალი სამყაროს პოლიტიკური სისტემა ადამიანისთვის არსებობს. ის უსამართლობასთან ბრძოლით შეიქმნა და დღეს სამართლიანობის პროცესის ოპტიმალური უზრუნველყოფით აგრძელებს არსებობას. მაგრამ ეს პროცესი

ყოველთვის მათ პასუხისმგებლობაზე იქნება დამოკიდებული, ვინც მასში აქტიურად მონაწილეობს. ცუდისა და უსამართლობის წინააღმდეგ მობილიზება საკუთარ თავში, საზოგადოებასა თუ გლობალურ სამყაროში არის ყველა დროის გამოწვევა. მხოლოდ ისეთი პოლიტიკური სისტემა, რომელიც საყოველთაო თავისუფლების პრინციპს, ანუ პასუხისმგებლობას ემყარება, უზრუნველყოფს საერთო ძალისხმევის მობილიზებას სამართლიანობისთვის. სწორედ, ამ სისტემურ ძალისხმევაშია გამოხატული თითოეული მოქალაქის თავისუფლება.

დაგროვილი ცოდნითა და გამოცდილებით ისტორია გვასწავლის მართალ გზას საზოგადოებრივი განვითარების სწორი ორიენტირებისთვის, მაგრამ ამ გზას ყოველდღიური აღქმა, დაცვა და ახალი გამოწვევების საპასუხოდ მუდმივი გაგრძელება სჭირდება. ეს კი მხოლოდ საერთო პასუხისმგებლობითა და ძალისხმევით მიიღწევა. დღეს, ავტორიტარული სისტემებიდან მომდინარე აშკარა გლობალური საფრთხეების პირობებში, თავისუფლებისთვის ბრძოლა დასავლეთისგან გაბედულ გეოსტრატეგიულ გადაწყვეტილებების მიღებას ითხოვს.